პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

--- სექტემბერი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) თვით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქუჩა №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის.

ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საკითხის სათანადოდ შესწავლა საჭიროებს საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევას, შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიებას, დამუშავებასა და ანალიზს, აგრეთვე მიღებული მონაცემების ურთიერთშეჯერებასა და შეფასებას.

შესასწავლ გარემოებათა მოცულობისა და სამუშაო ჯგუფის მიერ საკითხის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობის გათვალისწინებით, საჭიროა დამატებითი დრო მოძიებული მასალების დამუშავების, შესაბამისი გარემოებების შეფასებისა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შეჯამებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება 1 (ერთი) თვით.

ა.ბ) პროექტის არსი:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას 1 (ერთი) თვით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს და არ მოახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი **ირაკლი თავართქილაძე**